



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 30 მარტი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
2. ლია თოდუა - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
3. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
4. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
5. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
6. ირაკლი ქასრაშვილი - საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის „მერსი ქორფს“- ის წარმომადგენლობა საქართველოში
7. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
8. გივი ქოჩორაძე - კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
9. ირინა გურული - ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრი
10. ლელა ბერძული - ევროპის ფონდი
11. ნათია დაღელიშვილი - კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი
12. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
13. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
14. დიანა ყურაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
15. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
16. წოვინარ ნაზაროვა - ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
17. ნინო ედილაშვილი - დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია ასოციაცია „OXFAM“-ის საქართველოს წარმომადგენლობა
18. გიორგი კაჭარავა - ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო

განსახილველი საკითხები:

- ასოცირების შეთანხმების შესრულების დარგობრივი მონიტორინგის შესაძლებლობები და საშუალებები;
- საერთო კრებაზე ჯგუფების მუშაობისადმი გამოთქმული შენიშვნები;
- ქვეყანაში "მცირე მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის" მიღებასთან დაკავშირებით, "SME მხარდაჭერის" ქვეჯგუფის ჩამოყალიბების საკითხის განხილვა.
- სხვა საკითხები.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად, ჯგუფმა მოისმინა სამუშაო ჯგუფის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლების პრეზენტაციები ასოცირების შეთანხმების შესრულების დარგობრივი მონიტორინგის, ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

ევროკავშირი - საქართველოს ბიზნესსაბჭოს წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი კაჭარავამ აღნიშნა, რომ ბიზნესსაბჭო არის ინვესტორთა საბჭოს წევრი, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. საბჭოს ფარგლებში ასევე ჩამოყალიბებულია სამუშაო ჯგუფები, რომელთა საკოორდინაციო საბჭოც განსაზღვრავს ჯგუფის პრიორიტეტებს. ამ ეტაპზე საუბარია, რომ ჯგუფები იმუშავენ სურსათის უვნებლობის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის, საბაჟო საკითხებსა და ვაჭრობის ხელშეწყობაზე. თუმცა, მაისში, სამუშაო ჯგუფები ეკონომიკის სამინისტროსა და ბიზნეს ასოციაციებთან ერთად იმსჯელებენ და დაიგეგმება კონკრეტული აქტივობები. მან ასევე აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფები იქნება ღია და მონაწილეობის მიღება შეეძლება ყველა მსურველ ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს აღნიშნულ საკითხებზე. ბიზნესსაბჭო ასევე გეგმავს მუშაობას ასოცირების შეთანხმების IV კარის პირველ სამ თავში მითითებულ საკითხზე.

დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია ასოციაცია „OXFAM“-ის საქართველოს წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნინო ედილაშვილმა დამსწრეებს გააცნო მათ მიერ განხორციელებული კვლევა მცირე ფერმერებზე DCFTA-ის გავლენის შეფასების შესახებ. კვლევაში მიმოხილულია სურსათის უვნებლობის, ინვესტიციების, საწარმოო საშუალებებისა და მიწის საკუთრების საკითხები. კვლევის საბოლოო ვარიანტი 1-2 კვირაში იქნება ხელმისაწვდომი.

კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობი საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორგანიზაცია გახლავთ ევროკომისიის საკონტაქტო ორგანიზაცია საინფორმაციო ტექნოლოგიების საკითხში (უახლოეს პერიოდში იგი ჯგუფში გაავრცელებს ჰორიზონტი 2020-ის 2016-2017 წლების სამუშაო გეგმას). ბატონმა გივიმ ისაუბრა ჩარჩო პროგრამა ჰორიზონტი 2020-თან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, რომელიც იგეგმება აპრილში. მისი მოსაზრებით, ამ მხირვ სამუშაო ჯერ კიდევ

ბევრია, ამდენად ორგანიზაცია გეგმავს აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას. ორგანიზაცია ასევე იმუშავებს ასოცირების ხელშეკრულების IV კარის, მე-12 თავით განსაზღვრულ საკითხებზე.

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა ისაუბრა მომხამრებელთა უფლებების კუთხით ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ის მონიტორინგის შესახებ, რომელსაც მისი ორგანიზაცია ახორციელებს. ამ ეტაპზე ორგანიზაციისთვის პრიორიტეტულია პროდუქციის უსაფრთხოების საკითხები, სტანდარტიზაცია-სერტიფიკაცია, სურსათის უვნებლობა, ინტელექტუალური საკუთრების საკითხები და კონკურენცია. ქალბატონმა ლიამ, მოკლედ მიმოხილა ასოცირების ხელშეკრულების მონიტორინგის მიზნით ორგანიზაციის მიერ შექმნილი ვებგვერდი www.asocireba.ge და დამსწრეებს სთხოვა მასთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები და კომენტარები გაუზიარონ.

ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრის წარმომადგენლის ინფორმაციით ორგანიზაციამ რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად შეისწავლა ჩამდინარე წყლებისა და ნაგავსაყრელების მიმართულებით არსებული დირექტივები წლების მიხედვით და აღნიშნული კუთხით საერთაშორისო გამოცდილება. ორგანიზაცია აგრეთვე აშაადებს კვლევას საქართველოს 4 რეგიონში თვითდასაქმებულების საჭიროებებისა და მოლოდინების თაობაზე. როგორც ქალბატონმა ირინამ აღნიშნა, ორგანიზაცია ასოცირების შეთანხმების მონიტორინგზე მეტად ინფორმაციის გავრცელების კუთხით მუშაობს.

ჯუნორ ეჩივმენტი საქართველოს წარმომადგენელმა ისაუბრა ორგანიზაციის ძირითადი მიმართულების შესახებ და აღნიშნა, რომ ორგანიზაცია მუშაობს საბაჟო, ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე. ორგანიზაციისთვის ასევე პრიორიტეტულია განათლების საკითხებიც. ქალბატონმა ეკამ დამსწრეებს წარუდგინა მოკლე პრეზენტაცია სამეწარმეო და პროფორიენტაციული განათლების შესახებ. მან ასევე მოუწოდა ჯგუფის წევრებს შემოუერთდნენ ორგანიზაციის განცხადებს საგნის „მე და საზოგადოება“ სკოლაში დანერგვის შესახებ. მან აგრეთვე გამოთქვა წინადადებები მეწარმეთა ფინანსური ანგარიშგების და საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაბეგვრის საკითხების დახვეწვის აუცილებლობის თაობაზე.

ქალი და ბიზნესის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორგანიზაცია ძირითადად მუშაობს ეკონომიკური დიალოგის მიმართულებით. ქალბატონმა ნინომ წარადგინა ინიციატივა დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი, ჯგუფთან ერთად.

საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა ისაუბრა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ საქმიანობებზე და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მუშაობის გაძლიერება მცირე მეწარმეობის მიმართულებით.

„ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის“ წარმომადგენელმა ბატონმა ოლეგ შატბერაშვილმა აღნიშნა, რომ ორგანიზაცია იმუშავებს „თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების“ სფეროში.

ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების წარმომადგენელმა, ქალბატონმა წოვინარ ნაზაროვამ ისაუბრა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და აღნიშნა ორგანიზაცია მუშაობს კლიმატის, სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების საკითხებზე.

ევროპის ფონდის წარმომადგენლის ინფორმაციით ფონდი ორიენტირებულია მომხმარებლის უფლებებზე და სურსათის უვნებლობის მხრივ, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგზე. იგი რეგულარულად ამზადებს სურსათის უვნებლობის მიმართულებით მიმდინარე რეფორმების შეფასების დოკუმენტებს.

კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელმა ისაუბრა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ კვლევაზე, რომელიც ეხებოდა საქართველოსა და უკრაინის მიერ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მონიტორინგს 4 მიმართულებით: სახელმწიფო შესყიდვები, ვაჭრობაში დაცვითი ზომები, კონკურენცია და გამჭვირვალობა. კვლევის ფარგლებში არსებული მდგომარეობის განხილვასთან ერთად საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით გაანალიზებულია სამომავლო პერსპექტივები. ქალბატონმა ნათიამ აგრეთვე აღნიშნა ორგანიზაციის მიერ ქართული ექსპორტის დივერსიფიკაციის კვლევა, რომლითაც ქართული საექსპორტო პროდუქციის არასაკმარისი მრავალფეროვნება გამოიკვეთა.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლის ბატონ ვახტანგ ზარქუას ინფორმაციით ორგანიზაციისთვის პრიორიტეტულია განათლება, ძირითადად ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით და დასაქმების საკითხები.

ასოციაცია საზოგადოება განვითარებისთვის წარმომადგენლის ინფორმაციით, ორგანიზაცია მუშაობს კლიმატის საკითხებზე და ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში, ძირითადად ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებზე. როგორც ქალბატონმა ნათელამ აღნიშნა, ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კომბინირებული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გაეროს კომუნიკაციის კომიტეტის მიერ 2015 წელს შეყვანილი იქნა მსოფლიო ოთხეულში.

საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის „მერსი ქორფს“- ის წარმომადგენელმა ისაუბრა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებზე და აღნიშნა, რომ ორგანიზაცია მუშაობს სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, განათლების, ტრენინგებისა და ახალგაზრდობის საკითხებზე. ინფორმაციას ასოცირების ხელშეკრულების მონიტორინგის თაობაზე ორგანიზაცია ჯგუფს მიაწვდის მოგვიანებით.

ქალბატონი დიანა ყუარაშვილის ინფორმაციით, მეწარმე ქალთა ფონდის მიმართულება გახლავთ ძირითადად ახალგაზრდობა, თუმცა ორგანიზაცია 2003 წლიდან აქტიურად მუშაობს ეკონომიკური განვითარების მიმართულებითაც.

ჯგუფში ასევე გამოითქვა მოსაზრება, ჯგუფის წევრმა ორგანიზაციებმა ერთობლივად იმუშაონ პროექტებზე და შეიტანონ კოალიციური საპროექტო განაცხადები, რათა გაძლიერდეს თანამშრომლობა ჯგუფის წევრ ორგანიზაციებს შორის და ხელი შეეწყოს პლატფორმის ეფექტურ მუშაობას.

ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ლია თოდუამ შეაჯამა ორგანიზაციების სამუშაო პრიორიტეტები და ჯგუფის წევრებს მოუწოდა აქტიური თანამშრომლობისკენ.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა განიხილა საერთო კრებაზე ჯგუფის მუშაობისადმი გამოთქმული შენიშვნები. როგორც ბატონმა ვახტანგ ზარქუამ აღნიშნა, იგი ელოდება საკოორდინაციო საბჭოს მოწვევას, სადაც წარადგენს საკუთარ ინიციატივებსა და წინადადებებს პლატფორმის საქმიანობის ეფექტურობის გაძლიერებისთვის.

შემდეგ საკითხად ბატონმა თამაზ ვაშაკიძემ წარადგინა პრეზენტაცია მცირე მეწარმეობის განვითარების სტრატეგიისა და მიმდინარე პროცესების შესახებ და გამოთქვა წინადადება ამ საკითხებზე მომუშავე ქვეჯგუფის ჩამოყალიბების თაობაზე. ჯგუფის რამოდენიმე წევრმა განაცხადა, რომ ვინაიდან ერთი და იმავე ადამიანის მონაწილეობა სამზე მეტ ქვეჯგუფში¹ შეზღუდულია, ახალ ქვეჯგუფის მუშაობაში ჩართვას ისინი ვერ შეძლებენ.

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე მესამე საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი შეხვედრისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.

¹სამდივნოს შენიშვნა: ეს შეზღუდვა ფიგურირებდა პლატფორმის წესდების ცვლილებების სამუშაო დოკუმენტის ტექსტში, რომელიც პლატფორმის 2015 წლის საერთო სხდომაზე განიხილებოდა. თუმცა ეს ცვლილება მიღებული არ იქნა. ამიტომ საქართველოს პლატფორმის დღეს მოქმედი წესდებით ორგანიზაციის ერთი და იმავე წარმომადგენლის სხვადასხვა ქვეჯგუფებში მონაწილეობა რაოდენობრივად არ იზღუდება.